პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 43 (4039) | ოთხშაბათი, 21 თებერვალი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლადვე, მკითხველო, როგორ დამშვენდა, გაიზარდა და გალამაზდა ჩვენი დედაქალაქი თბილისი. ეს სურათი გუშინ გადაიღო „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტმა ვლ. ბინზბურგმა დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის აღმართთან.

გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი

ემბებს რომ ამოსცდება, მზე თავისი პირველი სხივების შუქს მოჰფენს მეტეხის ციტადელს, სადაც პირველად გაშენდა ქალაქი და სადაც ამჟამად დგას მისი მარადიული გუშაგი, ბრინჯაოში ჩამოსხმული ვახტანგ გორგასალი. მზე აცისკროვნებს ძველ ნარიყალასაც, რომლის მრგვალ კოშკებსა და ქონგურებიან კედლებს ახსოვთ თბილისელთა მამაცობა, თავდადებულად რომ იბრძოდნენ მშობლიური ქალაქის ღირსებისათვის, გმირულად იგერიებდნენ დამპყრობთა თავდასხმებს, როცა ისინი ცდილობდნენ ცეცხლითა და მახვილით მოესპოთ საქართველოს დედაქალაქი. მზე ნათელსა ჰფენს ციხის ნაშთებს ზემოთ, მთელი ქალაქის თავზე აღმართულ დიდებულ ფიგურას „ქართლის დედისას“, რომელსაც ცალ ხელში უპყრია ღვინით სავსე თასი მეგობრებისათვის, ხოლო მეორეში — ნაჭედი მახვილი მტრებისათვის. თასი და მახვილი. მეგობრობაში ერთგულებისა და მხედრული სიმამაცის სიმბოლო.

და იქიდან, ქალაქის ამ ძველი ნაწილის სიმაღლიდან, ჩანს მთელი თბილისი — საბჭოთა ხელისუფლების წლებში განახლებული და გარდაქმნილი, ძველი და მარად ახალგაზრდა დედაქალაქი ჩვენი მშობელი დედის — საქართველოსი.

თვალწარმტაცი და განუმეორებელია თბილისი თავისი ქუჩა-ხეივნებით, ორივე მხარეს დიდი ჭადრები რომ ჩაუყვება. მშვენიერია მისი ბაღები და პარკები, მისი მოედნები და სანაპიროები, მისი ძველი კულტურის ძეგლები და ქვითა და მინით მოსილი თანამედროვე მაღლივი შენობები, მზითა და სინათლით სავსე ვრცელი საცხოვრებელი სახლები.

თვითეულ წელს, თვითეულ დღეს რაღაც ახალი შეაქვს თბილისის გარეგნობაში: ეს არის საბაგირო გზებიც, რომლებიც მაღლა მიემართებიან და აკავშირებენ ქვაბულს მის გარშემო მდებარე ქედების განტოტებებთან, ტყის მასივებთან და გამჭვირვალე ტბებთან; ეს არის ესკალატორებიც, დაბლა მიწის ქვეშ რომ ეშვებიან და მიჰყავთ მგზავრები თბილისის მეტროპოლიტენში, რომელსაც ამას წინათ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენი ეწოდა.

საუცხოო და განუმეორებელია რუსთაველის პროსპექტი, ქალაქის მთავარი არტერია, რომელსაც მივყავართ ცენტრალური მოედნისაკენ, დიდი ლენინის სახელს რომ ატარებს, — იმ ადგილისაკენ, სადაც იმართება საყოველთაო-სახალხო ზეიმები და სადღესასწაულო დემონსტრაციები, რომლებიც, დედაქალაქის ცენტრში მიმავალნი, საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მონუმენტურ შენობას ჩაუვლიან.

რამდენიმე დღის წინათ ამ სასახლის ნათელ დარბაზში შეიკრიბნენ დელეგატები თბილისის XXXIII საქალაქო პარტიული კონფერენციისა, რომელმაც შეაჯამა დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის გასული ორი წლის მუშაობის შედეგები. ეს ღირსსახსოვარი წლები იყო პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ანგარიშში, კამათის მონაწილეთა გამოსვლებში, რომლებმაც ბევრ რამეში შეაჯამეს ან ეჭვქვეშ დააყენეს ეს ანგარიშიც, ეჭვქვეშ დააყენეს ეს ანგარიშიც, ეჭვქვეშ დააყენეს ეს ანგარიშიც,

ПАРТИЈУЛ КОНФЕРАНСИЈАДАН

ДИДИ ПОМОЩНИКОВСКАЯ

Партиялы конференция ин дидиз саркъа, ромелшиц гонтебис тавадит ахсенилы комунистебс уквелиа мхриадан, ахлебурад, гарквеулы мандилебисган да, машасадме, упрочи нацилад вормоуцедебс тависиа тавиц, схвебиц, мтели организациис цховреба саангариши периодис манძилзе. ам ахлебурад, упрочи сиаде да гонивриулад дананахули цховребебисган мас гамомахвс сатанадо гакетилебс, ромелебиц гзас унатебенд шемдгомі мушаобасаши.

Сорцид мсгавс натели саркеши мчкиперо, ихиблсмарби цховребебит иуо вормоисахули скка XXIII ирилмбис историулі гадаწყветилебатма, месамі хутмцлидის გრანდიოზული ამოცანათა განხორციელებისათვის მებრძოლი სახეთა აფხაზეთი თავისი პარტიული ორგანიზაციის XXX სოფლო კონფერენციაზე, რომელიც, როგორც ვიუწყებოდით, 15 თებერვალს გაიმართა ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ სოხუმში.

აფხაზეთში ახალგაზრდა სახეთა ხელისუფლება თავისი არსებობის სულ რაღაც ათიოდე თვეს ითვლიდა, როცა 1922 წლის 7-10 იანვარს გამართულ პირველ პარტიულ კონფერენციაზე შეკრებილი 76 დელეგატი, აფხაზეთის 860 კომუნისტს რომ წარმოადგენდა, ბჭობდა იმ დღეების საჭირბოროტო საკითხებზე, ახალ ცხოვრებაში პირველ გადადგმულ ნაბიჯებზე, მშვიდობიანი დროის პირობებში კომუნისტთა როლსა და ამოცანებზე.

როგორ იზარდა — ამჟერად ავტონომიური რესპუბლიკის ულამაზესი დედაქალაქის ერთ-ერთ მონუმენტურ შენობაში — ა. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დარბაზში შეკრებილი 583 დელეგატი, წარმომადგენელი 1.032 პირველადი პარტიული ორგანიზაციის 23.556 კომუნისტისა, აჯამებდა საანგარიშო პერიოდში — ორი წლის მანძილზე გაწეულ მუშაობას და სახავდა მომავლის ღონისძიებებს.

გაწეული მუშაობა კი ეშმარიტად ისე დიდია, რომ შეუძლებელი იყო მისთვის სიამაყე არ ეგრძნო კონფერენციის თვითეულ მონაწილეს.

ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული სახე, ამ მთავარ უბნებზე პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი როლი, ახალი მომავლის ამოცანები, — აი კომუნისტების მსჯელობის მთავარი თემა თავიანთ საოლქო პარტიულ კონფერენციაზე.

პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიამ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ ვრცელ მოხსენებაში, კამათში გამოსულმა კომუნისტმა-დელეგატებმა წარმოადგინეს რესპუბლიკის ცხოვრების და მასში საოლქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი როლის სრული სურათი.

კონფერენციას, რომელიც მაქსიმალურად დატვირთულ დღეს, ხალამის ოთახში ადგა ადგილი, მიმდინარეობდა, ნათელ ზოლად გასდევდა ნათელი წარმოდგენა იმ ცხოველმყოფელი ძალისა, რაც სახეთა აფხაზეთის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაში, საოლქო პარტიული ორგანიზაციის შემართებულ საქმიანობაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის შეუნელებელ ხელმძღვანელობასა და დახმარებას ენიჭება.

აფხაზეთის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა პირველი ორი წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმები. ორი წლის განმავლობაში საერთო პროდუქციის საშუალო წლიურმა მატებამ შეადგინა 7,9 პროცენტი წინა ხუთწლედის 4,4 პროცენტის ნაცვლად. ამავე პერიოდში რესპუბლიკის მრეწველობამ აწარმოვა 15 მილიონ მანეთისაზე მეტი ზეგზეგმითი პროდუქცია. მრავალ საწარმოში შემდგომი განვითარება ჰპოვა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობამ. ყველა ამ წარმატებებში დიდია პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი. სწორედ პარტიული ორგანიზაციების კარგმა მუშაობამ ჩაიყარა მოწინავე საწარმოთა ზიგებში „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის № 1, 5, 6 შახტები, ტყვარჩელის თბოელექტროსადგური, სოხუმის ტყავფეხსაცმლის, სამკერვალო და საქსოვი ფაბრიკები, ქიმიური ქარხანა, გაზაპარატების ექსპერიმენტული ქარხანა და სხვ. ამ საწარმოთა კოლექტივები ახლა უკეთ მუშაობენ, გამოიცოცხლდა რაციონალიზატორული აზრი, მიმართული სამრეწველო სიმძლავრეთა ეფექტური ხარგებლობისაკენ, ნედლეულისა და მასალების ეკონომიური მოხმარებისაკენ.

ხუთწლედის ეს ორი წელი შეიქნა სამეურნეო მართვის ახალ სისტემაზე თანდათანობით გადასვლის პერიოდი. დღეისათვის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეს გადასვლა 15 საწარმოში განხორციელდა.

ეკონომიურმა რეფორმამ კარგად იმოქმედა სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის მუშაობაზე. ამის შედეგად ფაბრიკის კოლექტივმა საიუბილეო წლის დავალება 121,9 პროცენტით შეასრულა, შრომის ნაყოფიერება 5,9 პროცენტით აამაღლა, პროდუქციის რეალიზაციის პროგრამაც გადაჭარბებით შეასრულა.

ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს, რომ საწარმოო საკითხებზე კონკრეტულად მუშაობენ პარტიული ორგანიზაციები, ღრმად იჭრებიან საწარმოთა ეკონომიკის პრობლემებში მათ უკეთ გადასაჭრელად, შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად.

ამასთან ჯერ კიდევ გვყვანან ჩამორჩენილი საწარმოები, — ამბობდნენ მომხსენებელი და მოკამათენი აფხაზეთის 117 სამრეწველო საწარმოდან, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა არ შეუსრულებია 16-ს. ჩამორჩენილმა საწარმოებმა სახელმწიფოს დააკლეს 2,8 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

კონფერენციამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სახეთა აფხაზეთის ინდუსტრიულ ცენტრზე — „ტყვარჩელქვანახშირზე“. როგორც ირკვევა, ტრესტის ზოგიერთმა შახტამ მკვეთრად გააუარესა მუშაობა, სახელმწიფოს დააკლდა 17 ათასი ტონა ქვანახშირი. ამის მიზეზად კონფერენციამ უკანასკნელ წლებში ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირისა“ და „ტყვარჩელშახტმშენისადმი“ პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის სუსტი ხელმძღვანელობა დაასახელა.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების საფუძველზე თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მარშან, საიუბილეო წელს მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 38.309 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 33.695 ტონისა.

ციტრუსები, ხილი, ყურძენი, აბრეშუმის პარკი, მეცხოველეობა,—ყოველივე ეს ზრდის კოლმეურნეობათა ეკონომიურ ძლიერებას. ეს კი თავისთავად ამაღლებს კოლმეურნეთა ცხოვრების დონეს. თუ 1960 წელს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 19.543 ათასი მანეთი, 1966 წელს — 24.474 ათასი მანეთი გაიცა კოლმეურნეებზე, ხოლო 1967 წლის მარტო 11 თვეში 28.913 ათასი მანეთი დაიხარჯა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაზე.

ამასთან კონფერენციაზე ითქვა, რომ ჯერ კიდევ დიდძალი გამოუყენებელი რეზერვია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება მეჩაიეობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგების კომპლექსური მექანიზაცია; არასახარბიელო მდგომარეობაა კადრების მომზადების საქმეში. წლიდან წლამდე არ სრულდება ხილისა და ბოსტნეულის წარმოების დავალებანი; შესუსტდა ყურადღება ისეთი მნიშვნელოვანი კულტურისადმი, როგორიც არის ტუნგო; ბევრი გადაუჭრელი საკითხია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში, უპირველეს ყოვლისა პირუტყვის ხულადობის გადიდებაში.

კონფერენციაზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი მშენებლობის მდგომარეობას რესპუბლიკაში. 1966-1967 წლებში კაპიტალურ მშენებლობათა მოცულობის საშუალო წლიურმა მატებამ შეადგინა 20 პროცენტი.

სახეთა აფხაზეთის ერთ-ერთი დამახასიათებელი სახეა საკურორტო მეურნეობა. მისი ულამაზესი ბუნების წიაღში ასობით სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, პანსიონატი და ტურისტული ბაზა უთვალავ დამსვენებელს ემსახურება. საკურორტო მეურნეობის წარმატებებთან ერთად კონფერენციამ აღნიშნა ის ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი აქვს აფხაზეთის კურორტების მუშაობაში. ზოგიერთ ჯანმრთელობის კერაში არასაკმაოდ ზრუნავენ მოაგარაკეთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

პარტიულ კონფერენციაზე აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთის ასსრ პარტიულმა და სახეთა ორგანოებმა განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებები სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესების დარგში. მაგრამ ამ მიმართულებით ყველაფერი როდი გაკეთებული. კონფერენციაზე აფხაზეთის ახს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა, ისევე როგორც მომხსენებელმა და ზოგიერთმა სხვა გამოსულმა ამხანაგმა, ჯეროვანი ფაქტების ანალიზით, მთელი სერიოზულობით დააყენა საკითხი კომუნისტის, სამეურნეო ხელმძღვანელის პარტიული და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერების საჭიროების შესახებ მუშაობის ყველა უბანზე. ილაპარაკა სამეურნეო და შრომის დისციპლინის, მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაძლევევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

განსაკუთრებით გაესვა ხაზი რესპუბლიკაში მშრომელთა ინტერნაციონალური, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდის, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი ამაღლების უდიდეს მნიშვნელობას. მეტი ზრუნვა მართებს პარტიულ ორგანიზაციას ლიტერატურისა და კურობის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლენების წინააღმდეგ.

არ ყოფილა პარტიული, სამეურნეო, იდეოლოგიური მუშაობის მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებსაც თავიანთ გამოსვლებში არ შეხებოდნენ დელეგატები: პარტიის გულრიფშის რაიკომის პირველი მდივანი ხ. ჯიქია, სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. შარტავა, გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ტანია, სოხუმის საზღვაო ნავსადგურის პარტჯგუფორგი ა. რომაშვილი, მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ი. თარბა, რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ნ. კიუტი, სკოლის დირექტორი ტ. მალიგინა, პარტიის გალის რაიკომის პირველი მდივანი ა. ქავთარაძე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი პ. ჯრშბა, სოციალისტური შრომის გმირი, მეჩაიე მ. ადლეიბა, პარტიის გაგრის რაიკომის პირველი მდივანი ლ. ღურწკაია, პროფსაბჭოს თავმჯდომარე გ. ჯოხთაბერიძე, რესპუბლიკის პროკურორი მ. არღუნი, „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის მმართველი ვ. ღვინჭილია, პარტიის სოხუმის რაიკომის პირველი მდივანი ვ. კოკაია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე თ. არლიუგინი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ა. ღვინჭილია, კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხინთბა.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია.

კონფერენციის გადაწყვეტილებათა მაგისტრალური ხაზი: — რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის აქტიური ბრძოლა სკკპ XXIII ყრილობის წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ფრუნიძემ.

ვ. თორდუა,
ი. გოგებაჩია.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ГАЗАВЫХУЛИС МАРЦХЛЕБИ

ФОТОРЕПОРТАЖИ

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ხუთწლედის მესამე წლის დაწყების პირველი დღეებიდანვე კარგი სტარტი აიღეს. „კომუნისტის“ რედაქციაში რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოდის სასახარელო ცნობები შეჯიბრებაში ჩაბმული შრომითი კოლექტივების, ცალკეული ადამიანების პირველ წარმატებათა შესახებ. გვწერენ საგაზაფხულო ბვნა-თესვისათვის მზადების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის სიუხვის შესაქმნელად სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებულ შრომაზე.

ბათუმის რაიონის სოფელ ფერიის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ბეჯითად მუშაობენ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად,— გვწერს „კომუნისტის“ სოფლკორი, ამ კოლმეურნეობის უფროსი აგრონომი ზ. გორგაშია. კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს ხაის პლანტაციებში მწკრივთაშორის ნიადაგის მომზადება მინერალური და ორგანული სასუქის შეტანით.

საგარეჯოელ მექანიზატორთა მაგალითისაებრ ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და გაზაფხულს ჯანსაღ ტექნიკას უმზადებენ ყითალეფაარს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მექანიზატორები. რემონტზე მომუშავეები ზ. ზურიკაშვილი, გ. ნასარაშვილი, ს. გიგოლაშვილი, ნ. აბულაშვილი, შ. პაპაშვილი და სხვები ერთმანეთს ეჯიბრებიან ტრაქტორების რემონტის საქმეში პირველობის მისაღწევად, — გვწერს სოფლკორი შ. ნატროშვილი.

— ხუთწლედის მესამე წლის პირველ დღეებში კარგი სტარტი აიღეს შუახევის რაიონის გოგანაურის კოლმეურნეობის მეთაძმაქოეებმა,—გვაცნობა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. გოგიტიძემ. — გოგანაურელებმა გადაწყვეტეს წელს მიიღონ 20 ტონა თამბაქო, რაც დიდად სჭირობს საგეგმო დავალებას. ახლა წარმოებს თამბაქოს ფარდულების რემონტი.

ქობულეთის რაიონის სახალვაშოს კოლმეურნეობამ საიუბილეო წელი სასახელო მიჩვენებლებით დაამთავრა, — გვაცნობებს სოფლკორი ო. კონცელიძე. — სახალვაშოს ყოლმეურნეობის წევრები მიღწეულთ როდი კმაყოფილდებიან. მათ გადაწყვეტეს წელს საფუტაკეე ძოხაზზე მიიღონ 1.897 კილოგრამი რძე, რაც დავალების 111,5 პროცენტს შეადგენს.

ადიგენის რაიონის მოხის მერძევეობა-მეხორცეობის სახეთა მეურნეობას მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაში ყოველ წელს აქვს წარმატება. წელს გადაწყვიტეს წინა წელთან შედარებით სახელმწიფოს მისცენ 900 ცენტნერით მეტი რძე, ერთიორად გაზარდონ ავრეთვე სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელად ხორცის წარმოება და ამასთან შარშანდელთან შედარებით შეამცირონ მიღებული პროდუქციის თვითღირებულება, — გვაცნობებს სოფლკორი, მეურნეობის დირექტორი ე. ლილუაშვილი.

ჯანსაღი ტექნიკა გაზაფხულს — ასეთი დევიზით მოუწოდა ახალქალაქის რაიონის მექანიზატორები. პირველობისათვის იბრძვიან სოფელ ხულგუმოს კოლმეურნეობის წევრები. მათ გადაწყვეტეს ვაზის ბუჩქების ბეჭედურ მარცვლად 25 ცენტნერი, კარტოფილი — 250 ცენტნერამდე ხუთწლედის დავალება შეასრულონ ვ. ილიჩის დაბადების 100 წლისთავისათვის, — გვწერს სოფლკორი, კოლმეურნეობის მექანიზატორი ვ. ფურადიანი.

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებში ბეჯითად მუშაობენ იმისთვის, რომ ამრავლონ მეცხოველეობის პროდუქტები, დაწინაურდნენ სარეკის კოლმეურნეობის მეცხოველეები. შარშან აქ თვითეულ დედაღორზე მიღებული იყო 18 გოჭი ნაცვლად 12-ისა. ასევე კარგად მუშაობენ ორგვეთის, მახათაურისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში. წელს ისინი თვითეულ დედაღორზე 19 გოჭის მიღებას გეგმარიდებიან, — გვწერს სოფლკორი ა. ქაპანაძე.

ბულრიფშის რაიონის მექანიზატორებმა საიუბილეო წელს სასახელოდ იმუშავეს. რბილ ხვნაზე გადაყვანილი მოხნეს 52 ათასი ჰექტარი ნაცვლად 45 ათასი ჰექტარისა. ხუთწლედის მესამე წელს გადაწყვიტეს სავაზაფხულო სამუშაოებს მოუმზადონ ჯანსაღი ტექნიკა და ტრაქტორების მაქსიმალურად გამოყენებით შარშანდელთან შედარებით მიაღწიონ მეტ წარმატებებს, — გვწერს „კომუნისტის“ სოფლკორი დ. კოტი.

ზუგდიდის რაიონის ლენინის ორდენოსანი ინგირის ხაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წელს ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში ახალი ხელდებების ასაღებად.

ახლა ინგირელი მექანიზატორები ენერგიულად, ბეჯითად მუშაობენ იმისათვის, რომ წესრიგში მოიყვანონ ჩაის საკრეფი მანქანა და ჩაის ნედლეულის კრეფის სეზონის დაწყების ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ. ამის შესახებ გაზეთი „კომუნისტს“ აცნობა სოფლკორმა ბ. ქობალიამ.

ამბროლაურის რაიონიდან სოფლკორი ა. კერესელიძე გვწერს: ყოველ წელს ყურძნის უხვი მოსავალი მოჰყავს სოფელ ძირაგეულის კოლმეურნეობის წევრს, სოციალისტური შრომის გმირს ტ. უგრეხელიძეს. წელს მისი პირობაა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს არა მარტო მოსავლიანობის ზრდას, არამედ ყურძნის ხარისხს.

სოფლად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებასა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე გვაცნობებენ ბათუმის რაიონიდან სოფლკორი ც. ცინცაძე, ქობულეთის რაიონიდან „კომუნისტის“ მკითხველები ვ. ნიკოლაიშვილი, თ. გურული, ბ. ბაჯელიძე, შუახევის რაიონიდან — ვ. დავითაძე, თ. ზაქარიაძე, ე. ზოიძე, დ. მიქელაძე, ა. დავითაძე, თერჯოლის რაიონიდან — კ. ჩაფიძე და სხვები.

„კომუნისტის“ სოფლკორთა და მკითხველთა წერილების ნაკადი კვლავ გაგრძელდება. ისინი გვატყობინებენ ამ ბეჭით შრომაზე, რასაც ხუთწლედის მესამე წელს ეწევიან სოფლის მეურნეობის მშრომელები.

ТЕТРИ АГУРИС ЧРДИЛЕБИ

ახალმშენებლობებზე ალბათ შეგიმჩნეიათ თეთრი აგური, რომელსაც ხელმარჯვე კალატოზები ერთურთზე აწყობენ, ადუღაბებენ და თანდათანობით ცაში აქცევთ თვალშეუფარავი კედლები.

მშენებლები კმაყოფილი არიან იმათი მარჯვენითა, ვინც ასეთ ეფექტურ სამშენებლო მასალას ჰქმნის საცხოვრებელი კვარტალებისა და სხვა ობიექტების ასაგებად. თეთრი აგური ავჭალელთა ნახელავია. უკვე მესამე წელია, რაც საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ქარხანა მოქმედებს და ყოველწლიურად მილიონობით თეთრ აგურს აწვდის რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს.

თუ როგორ შრომობენ ავჭალელი მეაგურეები, რა მაჩვენებლები მოიპოვეს საიუბილეო წელს, როგორ დაიწყო ხუთწლედის მესამე წელი? — აი საკითხები, რომლითაც დავინტერესდით, როცა ქარხანას (დირექტორი დ. კობახიძე, მთავარი ინჟინერი ჯ. სიხარულიძე) ვეესტუმრეთ.

რამდენიმე წლის წინათ აქ ხრიოკი ველი და ბორკაკები იყო. მოვიდნენ გეოლოგები, შეისწავლეს მიწისქვეშა ფენები და დაასკვნეს, რომ ზემო ავჭალის მთაგრეხილები დიდი რაოდენობით შეიცავდნენ პირველხარისხოვან საშენ მასალას. შემდეგ შეუდგნენ სილიკატური საკედელი მასალების ქარხნის მშენებლობას. 1965 წელს ქარხანა დიდი ცხოვრების ფერხულში ჩადგა. ავჭალელ მეაგურეთა 400-კაციანი კოლექტივი ძალღონეს აკ იშურებს საწარმოო გეგმების შესასრულებლად, წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილების დასანერგავად. მაგრამ მათ მცდელობას ყოველთვის სასურველი შედეგი როდი მოაქვს, ფაქტები აი რას მეტყველებენ.

ქარხანას 1966 წელს 58 მილიონი აგური უნდა გამოეშვა, ფაქტიურად გამოშვებულ იქნა 56 მილიონ 563 ათასი აგური. 1967 წელს კი ქარხანამ 75 მილიონი აგურის ნაცვლად 51 მილიონ 368 ათასი აგური გამოუშვა. საერთო პროდუქციის გეგმა მხოლოდ 67 პროცენტით შესრულდა.

მიზეზი? ქარხანას მექანიზმებით აღჭურვილობა, მუშახელი თითქოს არ აკლია, საამქროებში შექმნილია 20-მდე ბრიგადა, რომელთაგ წინამძღოლობას საქმისმოყვარე ადამიანები უწევენ... ერთი შეხედვით აქ თითქოს ყველაფერი რიგზეა. მაგრამ არის ისეთი მიზეზები, რომლებიც ამუხრუჭებენ საწარმოო გეგმის შესრულებას, შრომის ნაყოფიერების, დისციპლინის ამაღლებას, მათ წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებას.

მაგალითად, ამას წინათ ქარხანაში დამონტაჟდა აგურის ავტომატური დამწყობი. თუ მას წესისამებრ გამოვიყენებთ, 4 ასეთი აგრეგატს 12 კაცის ნაცვლად სამი კაცი დასჭირდება და შრომის ნაყოფიერება 2-3-ჯერ გაიზრდება. მაგრამ ეს ერთი მექანიზმი სრულიად არა საკმარისია და ამინდს ვერ შეჭმნის.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდ როლს ასრულებენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები წარმოებაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და გეგმების შესრულებისათვის. ავჭალის აგურის ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი შ. თაბუკაშვილი) 40-მდე კომუნისტს აერთიანებს. ვერ ვიტყვით, რომ აქ რეგულარულად არ ტარდებოდეს პარტიული კრებები, არ განიხილვდნენ საჭირბოროტო საკითხებს და სხვ. მაგრამ რა ფასი აქვს ისეთ მსჯელობას, რომლის ხორცშესხმისათვის პრაქტიკულად არაფერი კეთდება. მაგალითად, მიმდინარე წლის იანვარში ღია პარტიულმა კრებამ განიხილა მასის დამამზადებელი საამქროს (უფროსი შ. გახოკიძე) მუშაობის საკითხი. კომუნისტებმა ა. სახელაშვილმა, გ. პაპავამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ საამქროში შრომის დისციპლინა ოლიგოქლუბს. მათვე შენიშნეს, რომ მუშა შ. რუბაშვილი არახანაკონი მიზეზით ხანტამატურად აკდენს სამუშაოს, ხშირად მთვრალი ცხადდება. მსგავს საქციელში არაერთხელ იქნა შენიშნული ამავე საამქროს მუშა ჟ. სოხაშვილი. სამწუხაროდ, პარტიული კრებიდან გავიდა 3-4 კვირა, საამქროში შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებმა კი კლების მაგიერ იმატა!

შრომის დისციპლინით ვერც საყალიბო, სასაცრე და მსხვრეველას საამქროები დაიჩარაბანებენ. ანალოგიური ფაქტები აქაც მრავალია.

სწორედ დისციპლინის დარღვევების გამო ხდება ის, რომ ქარხანა დღეღამეში 165-170 ათასი ცალი აგურის ნაცვლად ფაქტიურად 140-150 ათას ცალს უშვებს.

მოგეხსენებათ — ბევრჯერ ერთი საამქროს ჩამორჩენა ქარხნის საერთო წარმადობის შემაფერხებლად იქცევა. ასე მოხდა შარშან, როცა სასაცრე საამქროს გვერდი ვერ აუბა მუშაობის საერთო რიტმს და ქარხანამ ცეცი მაჩვენებლებიით დაამთავრა სამეურნეო წელი.

ავჭალელი მეაგურეები წლიურ გეგმებს სისტემატურად რომ ასრულებდნენ, აუცილებელია მათი რეგულარული მომარაგება ნედლეულით. მაგრამ იმის გამო, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ყითელწყაროს კირქვის კარიერები ბევრჯერ არაფრაქციული მასალით და არარიტმულად ამარაგებენ ავჭალელებს, ისინი დღეების მანძილზე ზოგჯერ უმოქმედოდ დგანან.

ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც. თავდაპირველად, როდესაც აქ სილიკატური აგურის საწარმოს აგება გადაწყდა, გეოლოგების მიერ რეკომენდებული იყო ქარხნის ტერიტორიის მახლობლად მდებარე ქვა-ქვიშის კარიერი. ეს, რა თქმა უნდა, პროდუქციის წარმოებას აიაფებდა. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, ამ კარიერზე მოპოვებული ნედლეული სიმყარის გამო ძნელი დასამუშავებელი იყო, მაშინ როცა ქარხანას ჯერაც არ გაჰაჩნია მაგარი ქვა-ქვიშის დასამუშავებელი ტექნიკა. ამიტომ იგი მალე გამოვიდა მწყობრიდან. მდგომარეობის აღსადგენად შარშან ქალაქ ხაროვში შესყიდულ იქნა 8 ათასი მანეთის ნაშვრალდამუშავებული (?) სათადარიგო ნაწილები, მაგრამ ადგილობრივ პირობებში მათი გამოყენება დღემდე არ მოხერხდა. ვის რათ უნდოდა ასეთი ნაწილები? ამაზე პასუხს ვერ არავინ იძლევა. უპასუხოდ არის ის კითხვაც, თუ ვისი მიზეზით დაიწვა საწარმოს ზედმეტ ხარჯად ზემოაღნიშნული თანხა! ამავე წელს ქარხანას კირის საფქვავი წისქვილებისათვის სათადარიგო ნაწილები ქალაქ კუბიშევში უნდა შეესყიდა, მაგრამ ეს დღემდე ვერ მოხერხდა!

აქვე დავძენთ, რომ ქარხანაში დიდი მოთხოვნილებაა აგურის დამწყობი ავტომატებისა და წნეხების სათადარიგო ნაწილებზე. ელექტრომასალებსა და მოყობილობებზე. აღნიშნულის გამო არაერთხელ მიმართეს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს.

ქარხნის საერთო პროდუქციის წარმოებისა და წლიური გეგმების შეუსრულებლობა გამოწვეულია იმითაც, რომ მუშები ჯერაც უსრულველყოფილი არ არიან საერთო საცხოვრებლით, სპეციალური ტანსაცმლითა და სხვა საყოფაცხოვრებო პირობებით. ჭირს ტრანსპორტი, დამტვრეული, ჩამოწერის პირას მისული ავტობუსები სანსეგროდაც ვერ აკმაყოფილებენ ავჭალელ მეზაღვრთა გაზრდილ მოთხოვნილებას. ეს დროულად უნდა გამოსწორდეს!

ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანამ მიმდინარე წელს რესპუბლიკის მშენებლობას გეგმით 80 მილიონი თეთრი აგური უნდა გაუგზავნოს. ეს საბრძოლო ამოცანაა, რაც მთელი ძალების დაძაბვას მოითხოვს.

როგორც საწარმოში გვითხრეს, დირექციამ და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშავეს მოქმედების ერთობლივ ღონისძიებათა ციკლი: მეაგურეები კვარცის სილებით მომარაგდებიან ჭიათურიდან, მეტი ყურადღება მიექცევა ცალკეული ტექნოლოგიური ხაზების რეკონსტრუქციას, ქვიშის სამარაგოს შექმნას და სხვ.

აგურში, როგორც მშენებლობისათვის აუცილებელ მასალაში მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება. ამიტომ საჭიროა მის წარმოებაში შემჩნეული ნაკლოვანებები დროულად გამოსწორდეს. ავჭალელმა მეაგურეებმა მხარი უნდა აუბან მოწინავეებს, დაძლიონ ჩამორჩენა, სტაბილურად შეასრულონ სადღეღამისო დავალების გეგმა, აამოქმედონ რეზერვები და სრულად გამოიყენონ ის სიკეთე, რომელიც ახალ ეკონომიურ სისტემაზე გადასვლას მოაქვს.

ერთი სიტყვით, ქარხანა უნდა მუშაობდეს რიტმულად, რეტბამელურად, საღეღამო მოთხოვნილებების შესაბამისად, რათა ახალმშენებლობებს საარსებოდ საჭირო საშენი მასალა არ მოაკლოს.

ვ. ყუშიტაშვილი.

ქარხანამ უნდა იმუშაოს რიტმულად, რენტაბელურად

ТАТАБИРОВЕН КОЛИТИНФОРМАТОРЕБИ

МАСМАХРИЗ-ПОЛИТИКУРИ მუშაობის ამაღლების საკითხს მიეძღვნა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის პოლიტინფორმატორთა, აგიტკოლექტივებას ხელმძღვანელთა თათბირ-სემინარი. იგი მოაწყვეს პარტიის ლენინის რაიკომმა და ყურნალ „საქართველოს აგიტატორის“ რედაქციამ.

თათბირ-სემინარი გახსნა პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ქ. ლაცაბიძემ.

მოხსენება „პოლიტინფორმატორი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის წამყვანი ძალაა“ გააკეთა ყურნალ „საქართველოს აგიტატორის“ პასუხისმგებელმა მდივანმა კ. კალანდაძემ.

მუშაობის ახალ ფორმებზე, მისი უკეთ მოწყობის საშუალებებზე ილაპარაკეს კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის პოლიტინფორმატორმა ა. შარაბიძემ, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა ზ. ძიძიგურმა, ორთქლმავალ-ეაგონშემკეთებელი ქარხნის აგიტატორმა ს. ბაბაევმა, საალკოჰოლოგო დეპოს პოლიტინფორმატორმა ა. დავიდოვმა, თბილისის მე-7 სამკერვალო ფაბრიკის პარტიული ბიუროს მდივანმა ფ. ილაშვილმა. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პოლიტინფორმატორმა გ. ვეჩიბერიძემ. (საქდესი).

ГАРЧИНЕБУЛНИ — МАЛАРОШИЦ, АРМИАШИЦ...

უამოდგომის საღამო იყო. ზეამინდობას ვერ დაებრკოლებინა ადამიანები. ისინი ჯგუფ-ჯგუფად მიედინებოდნენ რკინიგზის ჭიათურის სადგურისაკენ...

მატარებლის გასვლამდე ადრე იყო, მაგრამ სადგურზე დიდძალი ხალხი შეგროვდა. აქ მოვიდნენ დიმიტროვის სახელობის მაღაროდან, კომკავშირის ჭიათურის ქალაქკომიდან, სამხედრო კომისარიატიდან, მოვიდნენ მარგანეცის ქალაქის ახალგაზრდები. ისინი გაცილებას უწყობდნენ დიმიტროვის სახელობის მაღაროს კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელსაც წვევამდელი მაღაროელი თ. მაჭავარიანი თავკაცობდა.

სადგურზე სახელდახელო მიტინგი გაიმართა. სიტყვა აიღო დიმიტროვის სახელობის მაღაროს დირექტორმა ნ. ჩხენკელმა. — დღეს საბჭოთა არმიის რიგებში ვაცილებთ ჩვენი მაღაროს კოლექტივის საუკეთესო და მამაც ახალგაზრდებს. ამ შრომისმოყვარე

საერთაშორისო ცხოვრება

ვიეტნამის მერიდიანზე

აგრესორებს საკადრისად მიეგებოდნენ

◆ პატრიოტები უტევენ აგრესორებს ◆ ბრძოლები გუეში
◆ ამერიკა იყენებს ქიმიურ ნივთიერებებს

ნიუ-იორკი, 20 თებერვალი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამში განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ნაწილები კვლავ სერიოზულ დარტყმებს აყენებენ ამერიკის სამხედრო ბაზებს და საყრდენ პუნქტებს. უცხოეთის დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან, რომ განთავისუფლების ძალების რაზმებმა კვლავ დაუშინეს ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ქხესანისა და კონთხიენის დიდ ბაზებს ქვემეხებისა და რაკეტული იარაღის ცეცხლი. მოწინააღმდეგემ ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა. ბაზები ნაწილობრივ დაინგრა. პატრიოტებმა ცეცხლი დაუშინეს აგრეთვე ინტერვენტთა საარტილერიო პოზიციებს დონგჰის ბაზასა და კერროლის სპეციალური დანიშნულების ჯარების ბანაკში, რომლებსაც ქხესანის დაცვა ევალებათ.

გაცხარებული ბრძოლები წარმოებს განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ნაწილებსა და ამერიკა-საიგონის ჯარებს შორის — საიგონის ჩრდილოეთით. განთავისუფლების ძალების მებრძოლებმა აიფეთქეს რკინიგზის ხიდი, რომელიც დედაქალაქთან აკავშირებს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ბიენჰოის დაუშინეს ამერიკის ჩავინის (მეკონგის დელტა) სამხედრო-საჰაერო ბაზის ასაფრენ-დასაფრენ ზოლს და დააზიანეს. ქალაქ ვინლონგში გრძელდება მძიმე ბრძოლები განთავისუფლების ძალების ქვეგანაყოფებსა და ინტერვენტების შორის.

ჰანოი, 20 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების არმიისა და საიგონის მარიონეტული ჯარების ძალებს გუეში მნიშვნელოვანი ზარალი მოსდით. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, იმოწმებს რა სააგენტო განთავისუფლებას, 18 თებერვალს განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ხუთივე იერიში. მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 190 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის ამერიკის არმიისა და მათი „მოკავშირეების“ 100 ჯარისკაცი.

გუეში 14-18 თებერვალს გააფთრებული ბრძოლების დროს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 1.200 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 600 ამერიკელი. პატრიოტებმა დააზიანეს და ჩაძირეს 12 სამხედრო გემი, ცეცხლი წაუკიდეს ოთხ ტანკს და ჩამოაგდეს რამდენიმე თვითმფრინავი.

ნიუ-იორკი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ იყენებს ქიმიურ ნივთიერებებს სამხრეთ ვიეტნამში. როგორც ჟურნალი „ნიუსუიკი“ წერს, 1967 წელს შეერთებულმა შტატებმა იქ გამოიყენა ათეულ ათასობით ტონა ქიმიური საშუალებანი ნათესების მოსასპობად და ნიადაგის, წყლისა და ტყეების მოსაწამლავად.

ჰარისონი გრალს სდებს

ნიუ-იორკი, 20 თებერვალი. (საკდესი). ახალი ორლეანის საოლქო პროკურორმა ჰარისონმა, რომელიც იძიებს პრეზიდენტ კენედის მკვლელობის გარემოებებს, გუშინ კვლავ განაცხადა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო „უეჭველია ჩარეული იყო პრეზიდენტ კენედის მკვლელობაში“. საოლქო პროკურორმა უარყო უორენის კომისიის მოხსენების დასკვნა, რომ კენედი მოკლა ერთმა კაცმა — ლი ოსვალდმა, და გამოთქვა აზრი, რომ პრეზიდენტი ფართო შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

ჰარისონმა ბრალად დასდო იუსტიციის მინისტრს რ. კლარკს, რომ ცდილობს ხელი შეუშალოს „პრეზიდენტ კენედის მკვლელობის პირველ პატიოსან გამოძიებას“, რომელსაც იგი აწარმოებს, და, კერძოდ, ჩაშალოს ახალორლეანელი მიზნესმენის კლეი შოუს მომავალი გასამართლება. როგორც ვიუწყებოდით, ჰარისონმა ბრალად დასდო ჯ. შოუს, რომ მონაწილეობდა შეთქმულებაში კენედის მოკვლის მიზნით.

უარყვეს მთავრობის კანონპროექტი

ოტავა, 20 თებერვალი. (საკდესი). კანადის პარლამენტის თემთა პალატამ გუშინ, მესამე წაკითხვის დროს უარყო მთავრობის კანონპროექტი საშემოსავლო გადასახადის 5 პროცენტით გადიდების შესახებ, რომელიც უკვე ძალაში შევიდა მიმდინარე წლის 1 იანვრიდან.

კენჭისყრის დამთავრებისთანავე ოპოზიციის დეპუტატებმა მოითხოვეს მთავრობის გადადგომა.

ვ. გომულკასა და ჰ. ბაგდაშის შეხვედრა

ჟენევა, 20 თებერვალი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ, როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, გუშინ მიიღო სირიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ჰალედ ბაგდაში.

შეხვედრის დროს, რომელმაც გულითადად, ძმურ ვითარებაში ჩაიარა გაიმართა აზრთა გაზიარება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. ჰ. ბაგდაშმა ილაპარაკა ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ სირიის კომუნისტებისა და პროგრესული ძალების ბრძოლის შესახებ და მადლობა გადაუხადა პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას მხარდაჭერისათვის სირიელი ხალხისა და სხვა არაბი ხალხებისადმი, რომლებიც იბრძვიან აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, და უშინაარს ყოვლისა ისრაელის ჯარების გაყვანისათვის სირიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და იორდანიის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იმ პოზიციებზე, რომლებიც 1967 წლის 5 ივნისამდე იკავეს.

შეხვედრის დროს გლადისლავ გომულკამ და ჰალედ ბაგდაშმა განაცხადეს რომ მათი პარტიები ძმურ სოლიდარობასა და სრულ ზხარდაჭერას უწევენ გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც წარმატებებს აღწევს ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

განიხილეს რა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საკითხები, ვ. გომულკამ და ჰ. ბაგდაშმა აღნიშნეს, რომ თანამედროვე საერთაშორისო პირობებში იმპერიალისტური აგრესიის ძალების წინააღმდეგ ბრძოლის განსამტკიცებლად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტიის ერთობას. ორივე პარტია ყოველ ღონეს იხმარს, რათა კომუნისტური და მუშათა პარტიების მსოფლიო თათბირმა ხელი შეუწყოს ამ ერთობის განმტკიცებას და მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირებას ხალხთა თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

შეხვედრამ ცხადყო, რომ ორივე პარტიას ერთნაირი შეხედულება აქვს ყველა განხილულ საკითხზე.

ძეგლი გმირ კოსმონავტს

საბჭოთა არმიის 50 წლისთავთან დაკავშირებით უნგრეთის ქალაქ პაპაში დაიხსნა „კომაროვის კვირეული“. რუმბერგ უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, იქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საბჭოთა კოსმონავტი მეორე ვლადიმერ კომაროვის ძეგლი. (საკდესი).

გაფიცვების ქრონიკა

აშშ

ნიუ-იორკი. ამერიკის ფლორიდის შტატის სახელმწიფო სკოლების 34 ათასმა მასწავლებელმა განცხადება შეიტანა გადადგომის შესახებ. ისინი ხელფასის მომატებას მოითხოვენ.

ამერიკული კანონებით სახელმწიფო სკოლების მასწავლებლებს აკრძალული აქვთ გაფიცვა, ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ გამოეყენებინათ ბრძოლის ასეთი ფორმა, რათა თავი დაეღწიათ კანონების დარღვევის გამო სასამართლო დევნისათვის, ვარაუდობენ, რომ 50 ათას კაცამდე მიადწევს მასწავლებელთა საერთო რიცხვი, რომლებმაც განცხადება შეიტანეს გადადგომის შესახებ. ამის შედეგად პრაქტიკულად ჩაშლება მეცადინეობა ფლორიდის ყველა სახელმწიფო სკოლაში.

ფინეთი

ჰელსინკი. გაფიცვა გამოაცხადა ფინეთის დაახლოებით ორი ათასამდე ნავსადგურის მუშამ, რომლებიც საავტომობილო ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირში ერიან გაერთიანებული.

გაფიცვა მოიდო ფინეთის სამხრეთის ცხრა ნავსადგურს. გაფიცულნი მოითხოვენ, რომ მეწარმეებმა მოუმატონ ხელფასი და გაუთანაბრონ შრომის პირობები.

იაპონია

ტოკიო. ქალაქ ნიიხამაში (ეხიმეს პრეფექტურა) მუშაობა დაამთავრა სინთეზური ქიმიკალიების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ფედერაციის 38-ე ყრილობამ. ყრილობამ მუშებს მოუწოდა იბრძოლონ ხელფასის მომატებისათვის, მთელ იაპონიაში მინიმალური ხელფასის სისტემის შემოღებისათვის, იმისათვის, რომ მუშებს მიეცეთ გაფიცვის უფლება.

ორი დღის განმავლობაში დაახლოებით ათასი დელეგატი — იაპონიის ქიმიკოსი მუშების 125-ათასიანი რაზმის წარმომადგენლები, — განიხილავდა წლევანდელ გაზაფხულზე გამოსცემის პროგრამას ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, წარმოების კაპიტალისტური „რაციონალიზაციის“ წინააღმდეგ. ყრილობამ გადაწყვიტა აპრილში მოაწყოს გაფიცვა ქიმიური მრეწველობის მუშათა მოთხოვნების მხარდასაჭერად.

სალვადორი

სანსალვადორი. 25 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა სალვადორის მასწავლებელთა დემონსტრაციაში, რომელიც პრეზიდენტის სასახლის წინ გაიმართა. ამას სან-სალვადორიდან იუწყება პრესა ლატინას საგენტოს კორესპონდენტი. მასწავლებლებმა მოითხოვეს, რომ აღადგინონ სამუშაოზე უკანონოდ დათხოვილი მასწავლებლები და მისცენ დაგვიანებული ხელფასი.

ურუგვაი

მონტევიდეო. გრძელდება ურუგვაის ქალაქ ფრაი-ბენტოსის (რიო-ნეგროს დეპარტამენტის) მაცივარ-საკლავის „ანგლოს“ 900 მუშისა და მათი ოჯახთა წევრების ლაშქრობა მონტევიდეოსაკენ. 815-კილომეტრიანი ლაშქრობის მონაწილეთა მიზანია მოსთხოვონ მთავრობას მაცივარ-საკლავის ნაციონალიზაცია და საწარმოში მუშაობის განახლება. ინგლისელმა მეპატრონეებმა, რომლებსაც „ანგლო“ ეკუთვნით, რამდენიმე თვის წინათ დახურეს საწარმო და უსახსროდ დატოვეს 1400 მუშის ოჯახი.

მთავრობამ არ შეასრულა დანაპირები — მატერიალური დახმარება გაიწია მუშებისათვის. ლაშქრობის მონაწილეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ბოლომდე იბრძოლონ. მათ ბრძოლას მხარს უჭერს ურუგვაის ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია.

(საკდესი).

... ქვეყნებში

რასისტი პრეზიდენტის პოსტზე

ლონდონი, 19 თებერვალი. (საკდესი). პარლამენტის ორივე პალატის წევრებისაგან შემდგარმა საარჩევნო კოლეგიამ დღეს იაკუბუს იოჰანეს ფუშე აირჩია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტად. ფუშე, რომელიც ამას წინათ გადადგა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური სამსახურისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პოსტიდან, ერთადერთი კანდიდატი იყო პრეზიდენტის პოსტზე. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მმართველი ნაციონალისტური პარტიისაგან—თეთრკანიან რასისტთა პარტიისაგან. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის 69 წლის ახალი პრეზიდენტი მთელ რესპუბლიკაში ცნობილია როგორც თავგამოდებული მომხრე აპარტეიდისა და რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკისა, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალნი ახორციელებენ ამ ქვეყნის აფრიკელი მოსახლეობის მიმართ.

ფუშე, რომელიც ახალ პოსტს აპრილში დაიკავებს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მეორე პრეზიდენტია გასული წლის 31 მაისს გადამდგარი ჩარლზ სვარტის შემდეგ.

... ბელგიის ... ერთიანდა

... ...

სუნტის ემისრის ვიზიტი მეუფესთან

ათენი, 19 თებერვალი. (საკდესი). გადამდგარი გენერალი ტრაზიბულოს ცაკალოტოსი რომში გაემგზავრა, რათა საბერძნეთის მთავრობის სახელით შეხვდეს საბერძნეთის მეფეს კონსტანტინეს. ცაკალოტოსი, რომელიც წინათ არმიის შტაბის უფროსი იყო, მიაჩნიათ საბერძნეთის მეფის ახლო მეგობრად. როგორც ცნობილი, მეფე კონსტანტინე საბერძნეთიდან გაიქცა გასული წლის დეკემბერში მარცხით დამთავრებული კონტრგადატრიალების შემდეგ.

კონსტანტინესა და ცაკალოტოსის შეხვედრა პირველი კონტაქტია სამხედრო მთავრობასა და მეფეს შორის, ამ უკანასკნელი თვეების მანძილზე.

გასული წლის დეკემბრიდან მთავრობა ირწმუნება, რომ საბერძნეთი კონსტიტუციურ მონარქიად რჩება, და რომ მეფე კონსტანტინე კვლავ სახელმწიფოს მეთაურია. მეფეს ყველა დეკრეტი ჯერ კიდევ კონსტანტინეს სახელით გამოდის, თუმცა ხელს აწერს რეგენტი — გენერალი გეორგიოს ზოიტაკისი.

მიწისქვეშა ბიძგები

ათენი, 20 თებერვალი. (საკდესი). წუხელ თითქმის მთელი საბერძნეთი გაიარეა ძლიერმა მიწისქვეშა ბიძგებმა. ათენის ობსერვატორიის ცნობით, 7,1 ბალი სიძლიერის მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობს 190 კილომეტრზე ათენის ჩრდილოაღმოსავლეთით (ლემნოსის კუნძულის რაიონში). პირველი ცნობებით, ლემნოსის დასახლებულ პუნქტებში დაინგრა ბევრი სახლი.

ისრაელი

გ. იარინგი ისრაელში ჩავიდა

პარიზი, 19 თებერვალი. (საკდესი). ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრთან ება ებანთან მოსალაპარაკებლად დღეს ისრაელში ჩავიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში გუნარ იარინგი.

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იერუსალიმიდან იტყობინება, რომ ებანთან საუბარში იარინგი კვლავ შეეხო საკითხს არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის დროს სუეცის არხში ჩარჩენილი უცხოეთის 15 გემის გაყვანის შესახებ.

განიხილეს აგრეთვე ეორდანია-ისრაელის საზღვარზე შექმნილი მდგომარეობა.

ანგოლა

პატრიოტთა დარტყმები

ბრაზავილი, 20 თებერვალი. (საკდესი). კორტუგალიის კოლონიური არმიის ზინაალმდეგ ანგოლელ პატრიოტთა იმ ორი ოპერაციის შედეგად, რომელიც მოეწყო 15 და 16 თებერვალს კაბინდაში, დაიხოცა 46 და დაიჭრა რამდენიმე კორტუგალიელი დასჯელი. მთლიანად დაანგრიეს სამხედრო ყაზარმა, ხელთ იგდეს მოზინაალმდეგის დიდძალი სამხედრო ალჯერვილოგა და საბრძოლო მასალა. ეს ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც აქ გამოაქვეყნა ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის შტაბბინამ.

იემენი

საიდუმლოებას ფარდა აეხადა

კაირო, 19 თებერვალი. (საკდესი). მონარქისტებს დაგეგმილი ჰქონდათ ალყა შემოერტყათ იემენის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქ სანისათვის, ხელთ ეგდოთ ქალაქი ჰარიბი, რომელიც იემენის აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარეობს, და შემდეგ თავიანთი კონტროლი დაეწესებინათ რესპუბლიკის სამხრეთი და ჩრდილოეთი რაიონებისადმი, — განაცხადა დღეს იემენის არაბთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა აბდალა ბარაკატმა.

როგორც მენ-ის სააგენტოს კორესპონდენტი სანიდან იტყობინება, ბარაკატმა აღნიშნა, რომ ამ გეგმის დაწვრილებითი ამბები ცნობილი გახდა დოკუმენტებიდან, რომლებიც რესპუბლიკის ჯარებმა ხელთ იგდეს იემენის აღმოსავლეთ რაიონებში მონარქისტთა რაზმების წინააღმდეგ ბრძოლების დროს. მინისტრმა დასძინა, რომ დოკუმენტები ეკუთვნოდა ყოფილი მმართველი ოჯახის — ჰამიდ ედ-დინების ერთ-ერთ წევრს — ამმედ ბენ ალ-ჰუსეინს, რომელიც ითხოვდა სასწრაფოდ გაეგზავნათ ერთი მილიონი რიალი უცხოელ დაქირავებულთათვის ხელფასის მისაცემად.

თურქეთი

გრიგალი კონიაში

სტამბოლი, 20 თებერვალი. (საკდესი). გუშინ კონიის რაიონს (ცენტრალური თურქეთი) გადაუარა ძლიერმა გრიგალისებურმა ქარმა, რომლის სიჩქარე საათში ას კილომეტრს აღწევდა. როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, გრიგალის შედეგად ათასობით მექანარი დამუშავებული მიწა წყალმა დატბორა. შეწყვეტილია კავშირი სტეპეური უბედურებისაგან დაზარალებულ რაიონთან.

თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ძლიერი მუსონური წვიმები მოვიდა, რამაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი გამოიწვია.

ამერიკელები ამერიკის შესახებ

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

„სატერდეი რევიუ“, ნიუ-იორკი

დეფიციტი და გადასახადის გადამხდელი

ამ ფელეტონის ავტორი გუდმენ ეიჯი ბროტსკის მწვავე ფორმით აკიცხავს ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვას ვიეტნამის ომით გამოწვეული ეკონომიური სიძნელეების გამო მოსახლეობას დააკისროს დამატებითი გადასახადი.

ერთხელ პრეზიდენტი ჯონსონი მეუღლეს შეეკითხა:

— ლედი ბერდ, როგორ ახერხებთ ჩვენი ოჯახის შენახვას იმ თანხით, რასაც მე ვიძლევი?

— იცით რა, ლინდონ, მართალია, თქვენი თანხა ზღვაში წვეთია, მაგრამ რა ვქნა, ნემსის ყუნწში ვძვრები. ეს არც ისე ოდენ საქმეა.

— მაინც რას აკეთებთ ამისთანას, ლედი ბერდ?

— როდესაც ფული მილევაზეა, მენიუს ვამცირებ ან ჩვენი ქალიშვილისაგან ლინდასაგან ვსესხულობ. თუმცა ყველგვარი შეზღუდვები და ვალები არასასიამოვნო და კაბალურია.

— ოჰო! — წამოიძახა პრეზიდენტმა და უბის წიგნაკი ამოიღო. — თქვენ შესანიშნავი იდეა მომეცით, რომელსაც პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე წამოვაყენებ.

დანიშნულ დღეს პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე წარადგინა სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტის შემცირების გეგმა.

— დეფიციტს რომ ბოლო მოეღოს, — განაცხადა მან, — აუცილებელია არც თუ ისე ბევრი რამ: სოციალურ საჭიროებებზე ხარჯის შემცირება, სხვადასხვა სესხები და მოსახლეობის გადასახადის გადიდება...

ყოველთვის, როცა კი გადასახადების გადიდებაა საქმე, პრეზიდენტები ხელში ცარცს იღებენ ხოლმე და დაფაზე ანგარიშობენ, თუ რა გავლენას მოახდენს ეს ღონისძიება ოთხკაციანი ოჯახის მქონე საშუალო ამერიკელის ბიუჯეტზე. და ამჯერადაც პრეზიდენტმა, ანგარიში რომ უფრო გაიოლებოდა, მაგალითად მოიყვანა 10 ათასი დოლარი ყოველწლიური შემოსავლის მქონე ოჯახი და დაბეჯითებით დაიწყო მტკიცება, რომ გადასახადის 10 პროცენტით გადიდება მაინცდამაინც არ დასცემდა „საშუალო“ ამერიკელის ცხოვრების დონეს.

— თუ ასეთი ოჯახი წელიწადში 1.100 დოლარს იხდიდა, ახლა მას დამატებით მხოლოდ 110 დოლარის გადახდა მოუწევს. ამ თანხას, დარწმუნებული ვარ, თქვენ ნაკლებტკივნეულად შეხვდებით, თუ გაითვალისწინებთ, რომ იგი 12 თვეზე იყოფა. და ალბათ გასიამოვნებთ კიდეც იმის შეგნება, რომ ყოველდღიურად სულ რაღაც 30 ცენტით მეტის გადახდა მოგიწევთ!

იმისათვის, რომ უკეთ განმემარტა, თუ რამდენად სასიამოვნო იქნებოდა ეს ამბავი საშუალო ამერიკელის ოჯახისათვის, ინტერვიუს ჩამოსართმევად პრეზიდენტთან გავეშურე.

— მისტერ ჯონსონ, — ვუთხარი მე, — დავუშვათ თქვენ საშუალო ამერიკული ოჯახის პატრონი ხართ და წელიწადში 10 ათას დოლარს აკეთებთ.

— რას ლაყბობ, რას, მეგობარო! ვინ აკეთებს ჩვენთან 10 ათას დოლარს? გავიწყდებათ ფედერალური გადასახადი? ახლა შტატის გადასახადი? სოციალური უზრუნველყოფის შესატანი? მოხარული ვიქნებოდი, თქვენ მიერ დასახელებული თანხიდან ხელზე 8 ათასი რომ მრჩებოდეს! ამ თანხითაც კი თავს ძლივს გავიტანდი.

— ახლა კიდევ 110 დოლარის გადახდა რომ მოგიწევთ, მაშინ რაღა გეშველებათ?

— ხარჯებს შევამცირებ, ვალს დავიდებ და...

— კი, მაგრამ რის ანგარიშზე აპირებთ ხარჯების შემცირებას?

— რამეს მოვიფიქრებ, როგორც ყოველი საშუალო ამერიკული ოჯახი. მე, მაგალითად, მომიწევს ჩემს საყვარელ გართობაზე — ჯოლფის თამაშზე უარის თქმა, ხოლო ჩემს შვილებს თმის გასაკრეჭი თანხის დაზოგვა. შეიძლება ამან გვიშველოს. ყოველ შემთხვევაში მე ამედი მაქვს.

— ჰოო, ასეთი მკაცრი ეკონომიით ადვილად შეძლებთ ახალი გადასახადის გადახდას!

— მომისმინეთ, გთხოვთ სწორად გამიგოთ! არ დავიწყოდეთ, რომ მე საშუალო ამერიკული ოჯახის თავკაცი ვარ და პრინციპში დამატებითი გადასახადის გადახდის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ერთი გეგმა მაქვს...

— ეგ კიდევ რაღა გეგმაა?

— „ოჯახის დაგეგმვა“. გაგიგონიათ ამის შესახებ რამე?

— რა თქმა უნდა, ეს არის მრავალწევრიანი ოჯახების შემცირების გეგმა, არა?

— პირიქით..... განზრახული მაქვს თავი დავაღწიო ზემოთა გრაფას, სადაც ყველაზე მეტ გადასახადს იხდიან.

— ამას როგორღა მოახერხებთ?

— მე ხომ უკვე გითხარით: „ოჯახის დაგეგმვით“. მე და ჩემმა მეუღლემ მოვლაპარაკეთ და, თუ ბედმა გაგვიღიმა, იგი დედა გახდება სწორედ იმ მომენტისათვის, როდესაც ახალი გადასახადის გადახდის დრო მოვა.

— თქვენ მსჯელობთ როგორც სამშობლოს ერთგული, ჭეშმარიტი მოქალაქე, — ვუთხარი მე.

— როგორც ბოლფის ერთგული, ჭეშმარიტი მოთამაშე, — მომახალა მან.

გზა კატასტროფისაკენ

ჯონსონის პოლიტიკა ვიეტნამში კატასტროფას უქადის შეერთებულ შტატებს, განაცხადა მიჩიგანის შტატის გუბერნატორმა ჯორჯ რომნიმ, რომელიც მომდინარე წელს პრეზიდენტის არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი შესაძლო კანდიდატია. ჯ. რომნიმ, რომელიც არჩევნების წინ მოგზაურობს შეერთებულ შტატებში, გუშინ სიტყვა წარმოთქვა ვისკონსინის შტატში.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა წამოაყენოს ვიეტნამის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების რეალური პროგრამა, ხაზი გაუსვა რომნიმ, და არ უნდა ებლაუბებოდეს ვიეტნამის ქალაქების დაბომბვის გაფართოების სტრატეგიას, რასაც თან ახლავს პარადოქსული ოფიციალური განცხადებანი, ეს ქალაქები უნდა დავანგრიოთ მათივე გადარჩენისათვისო. სასტიკი ფაქტები ცხადყოფენ, რომ ომს კი არ ვიგებთ, როგორც ამას გვეუბნებიან, არამედ ვაგებთ.

„პრეზიდენტი ჯონსონი შეგნებულად ატყუებს ხალხს, პრესასა და კონგრესს, როდესაც იგი ეუბნება მათ ტყუილს ან ნახევარტყუილს, მოძნელად იყენებს სტატისტიკურ მონაცემებს, რათა დაამახინჯოს სინამდვილე...“

ამერიკის საგაზეთო გილდიის განცხადებიდან პრეზიდენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

„ყველაზე საშინელი მოვლენა, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზებული ბოროტმოქმედების ზრდას ამერიკის შეერთებულ შტატებში, ის არის, რომ ამერიკელები, ზოგჯერ, მთდა უნებურად, ეხმარებიან ასეთ ორგანიზაციებს: დიასახლისები ყიდულობენ პროდუქტებს იმ კამპანიებისაგან, რომლებსაც განგსტერები უწევენ კონტროლს; ახალგაზრდობა ცეკვავს მუსიკალური ავტომატების თანხლებით, რომლებიც ბოროტმოქმედთა სინდიკატს ეკუთვნის; ბიზნესმენი სესხისათვის მიმართავს მევახშეს, რომელიც სინდიკატის (ბოროტმოქმედთა) წარმომადგენელია“.

ჟურნალი „ლაიფი“.

ფერმერი, რომელიც კვდება არსებობისათვის 30 წლის ბრძოლის შემდეგ, სტუდენტი, ინტელექტუალურ ორომტრიალში გზააბნეული, მტვირთავი, უმიზნოდ რომ დაეკვეს უმძიმესი ტვირთი... — აი ზოგიერთი მსხვერპლი სოციალური ძალადობისა დღევანდელ ამერიკაში... ადამიანებს აპატიმრებენ, სცემენ, აჯარიმებენ, აგდებენ სამუშაოდან, აშინებენ, ჰკლავენ“.

ტერანს კენონი, ამერიკელი ჟურნალისტი გაზეთ „პიპლზ ვორლდიდან“.

ქომუნისტი

მე-3 გვერდი, ოთხშაბათი, 21 თებერვალი, 1968 წ.

ჩვენს ყველა-ჟყველაში

გვიტყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები

მეშახტეთა ახალი მეგობრები

ტყიბული. (საკ. კორ.). აქ სტალინის სახელობის შახტის მისამართით გროზნოდან ბარათი მოვიდა. ბარათის ავტორები აღმოჩნდნენ გროზნოს უსინათლო ბავშვთა საშუალო სკოლის მოსწავლეები. ისინი მოწონავენ შახტის კოლექტივს მხურვალედ ულოცავდნენ საიუბილეო სამახსოვრო დროშის მიღებას და ახალ მიღწევებს უსურვებდნენ შრომასა და ცხოვრებაში. მოსწავლეები აგრეთვე სწერდნენ, რომ მიმოწერა აქვთ საიუბილეო სამახსოვრო დროშის მფლობელ საწარმო-დაწესებულებებთან, რომ უკვე ბევრი საინტერესო მასალა შეაგროვეს და შექმნეს საკლასო მუზეუმი — „ლენინი და ჩვენი სამშობლო“.

„თქვენც გთხოვთ მოგვწეროთ თქვენი შრომისა და ცხოვრების შესახებ. ამასთან ერთად გამოგვიგზავნეთ მეშახტეთა ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათები“, — სთხოვდნენ ისინი მეშახტეებს.

მეშახტეებმაც არ დააყოვნეს. მათ მეგობრული ბარათი და ფოტოსურათები გაუგზავნეს გროზნოელ მოსწავლეებს.

„გვადი ბიგვა“ სკოლაში

19 თებერვალს თბილისის 62-ე საშუალო სკოლაში დიდი გამოცოცხლება იყო. ამ დღეს სკოლის მოსწავლეებმა ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვას“ კითხვა-განხილვაზე მოიწვიეს ლენინის ორდენოსანი შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლ „გვადი ბიგვას“ მონაწილე მსახიობები რესპუბლიკის სახალხო არტისტები სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მ. ჩახავა, ე. მანჯგალაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ლ. ძიგრაშვილი, კ. საკანდელიძე, მ. გეგეჭკორი, ჯ. ლაღანიძე, მსახიობები ს. ლაღიძე, ნ. ფაჩუაშვილი და თეატრალური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი დ. უფლისაშვილი.

შესვედრა თბილად და საქმიანად წარიმართა. ეს ბუნებრივიც არის — ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ ხომ ეროსულასეულთა სპერეგრამო მასალაა. სიტყვები წარმოთქვეს მოსწავლეებმა ა. დანელიამ, ი. ცინდელიანმა, ე. ხარატიშვილმა, ნ. ჯორდიაშვილმა, მ. სულაბერიძემ, უ. ჭურაძემ. ისინი საინტერესოდ და ობიექტურად მსჯელობდნენ სპექტაკლის აგებულებაზე.

ქ. ტაბატაძე,
ო. იაშაღაშვილი.

ქოლმეურნეები ისვენებენ

ბათუმის რაიონის ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის საგზურით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კურორტზე შარშან ოცდათორმეტმა კოლმეურნემ დაისვენა.

ნ. დავითაძე.

დიდი ამაგი

მ. ბონჩ-ბრუევიჩი და საქართველოს რადიო

ოცა ლაპარაკობთ საბჭოთა რადიოტექნიკაზე, ჩვენს ქვეყანაში ამ დარგის უდიდესი მიღწევების შესახებ, შეუძლებელია არ გავიხსენოთ სამამული რადიოტექნიკის და რადიომაუწყებლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გამოჩენილი რადიოინჟინერი, მეცნიერი და გამომგონებელი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ ალექსანდრეს-ძე ბონჩ-ბრუევიჩი.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გამოჩეკავნდა მისი დიდი ნიჭი და არაჩვეულებრივი უნარიანობა. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მ. ბონჩ-ბრუევიჩის მოღვაწეობა ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში — საბჭოთა რადიოტექნიკის კერაში — რადიოლაბორატორიაში, რომელიც 50 წლის წინ ლენინის მითითებით დაარსდა.

ვ. ი. ლენინი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ბონჩ-ბრუევიჩის ხელმძღვანელობით რადიონაგებობათა შექმნას. რადიოტელეფონს ის განიხილავდა არა როგორც მხოლოდ უსადენო ელექტროკავშირგაბმულობის უახლეს დარგს, არამედ აგიტაციის და პროპაგანდის ძლიერ საშუალებას, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა მრავალმილიონიანი რადიომსმენელთა აუდიტორიის შექმნა, რომელსაც შეეძლო ადგილზე მოესმინა მოსკოვიდან გადმოცემული მოხსენებები, ლექციები და საგაზეთო სტატიები.

ცნობილია ვ. ი. ლენინის ისტორიული წერილი ბონჩ-ბრუევიჩისადმი (1920 5/II), რომელშიც ის დიდ მადლობას უხდიდა მეცნიერს უქაღალდო და „უმანძილო“ გაზეთის შექმნისათვის, რასაც ბელადმა დიადი საქმე უწოდა.

1922 წლის 17 სექტემბერს უთერში გადაცემულ იქნა მოსკოვის სამაუწყებლო რადიოსადგურის პირველი დიდი რადიოკონცერტი, ხოლო 7 ნოემბერს კომინტერნის სახელობის სამაუწყებლო სადგურმა დაიწყო რეგულარული რადიოგადაცემები.

პროფესორ მ. ბონჩ-ბრუევიჩს ეარგად იცნობდა ქართველი რადიოსპეციალისტების უფროსი თაობა, ზოგიერთ მათგანს მათ შორის ამ სტრიქონების ავტორს, უმუშაავნია კიდეც მისი პირადი ხელმძღვანელობით. ჩვენ, ძველი თაობის ადამიანებს, არ შეიძლება დაგვავიწყდეს ის დიდი დახმარება, რომელიც მივიღეთ მისგან რადიოტექნიკის გარიჟრაჟზე. კარგად მახსოვს 1925 წლის მაისი. ის-ის იყო საბჭოთა რადიომრეწველობამ აითვისა მძლავრ ელექტრონმილაკიან რადიოგადამცემთა პირველი ნიმუში. ერთ-ერთი პირველი ეგზემპლარი საქართველოსათვის იყო განკუთვნილი. პირველი რადიოგადამცემების თვისებებსა და გამოცდისათვის ლენინგრადის ქარხნებში მივლინებული ვიყავით საქართველოს სპეციალისტები. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ამ სახის რადიონაგებობასთან პირველად მოვხვდით და ზოგი რამ უცნობი იყო ჩვენთვის.

რადიოგადამცემი დამონტაჟებული და აწყობილი იყო ლენინგრადის კოზიცკის სახელობის ქარხანაში. ჩვენი ჯგუფის მუშაობას ხელმძღვანელობდა. მიხეილ ბონჩ-ბრუევიჩი. ეს სამუშაო ჩვენთვის ნამდვილ სკოლას წარმოადგენდა, რადიოგადამცემის გამოცდის პროცესში ბონჩ-ბრუევიჩს ზოგი რამ ახალი შეუქმნია სქემაში და „კონსტრუქციაში, თავისი ხელით სცვლიდა დეტალებს და „ყველაფერს დაწვრილებით მაშინვე გვიხსნიდა როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად.

საგამოცდო სამუშაოთა დამთავრებისას იმავე წლის ივნისში საქართველოსათვის განკუთვნილი 20 კილოვატიანი Д-2.000 ტიპის — სატელეგრაფო-სატელეფონო რადიოგადამცემი დემონსტრირებული იყო მოსკოვში საკავშირო რადიოგამოფენაზე პოლიტექნიკური მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში. მ. ბონჩ-ბრუევიჩთან მუშაობის შემდეგ ამ რთულ რადიოგადამცემს ისე შევხვდით, როგორც ძველ ნაცნობს. ეს რადიოსადგური მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ამერიკავკასიის მაგისტრალურ რადიოკავშირს და რადიომაუწყებლობას.

კარგად მახსოვს კიდევ ერთი შეხვედრა მეცნიერთან მოსკოვში 1939 წელს საკავშირო რადიოთათბირზე, სამაუწყებლო რადიოტექნიკის სიახლეთა შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბონჩ-ბრუევიჩი. იგი დაინტერესდა საქართველოს რადიომაუწყებლობის მდგომარეობით, ესაამოვნა, რომ გასული წლების განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ქართველ რადიოსპეციალისტთა მიერ არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებისთვისაც. გაიგო რა, რომ ძველი თაობის სპეციალისტებთან ერთად ნაყოფიერად მუშაობენ ახალგაზრდა სპეციალისტებიც, დიდად გაიხარა. განსაკუთრებით დაინტერესდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უნიჭიერესი რადიოინჟინრის ზურაბ თოფურიას მუშაობით. ამ საუბრის დროს ჩანდა, რომ ბონჩ-ბრუევიჩი ცოტა უქეიფოდ გრძნობდა თავს. იგი მივაცილეთ სახლამდე, შეგვპირდა, რომ უსაუოდ ჩამოვიდოდა საქართველოში. გამოჩენილ მეცნიერს, სურდა საკუთარი თვალით ენახა ყველაფერი ის, რაც ჩვენში რადიოს დარგში აღგილობრივი ძალებით იყო შექმნილი. სამწუხაროდ ეს შეხვედრა უკანასკნელი იყო. 1940 წელს მიხეილ ალექსანდრეს-ძე გარდაიცვალა.

სწრაფად გავიდა დრო, თითქმის არავინ დარჩა საქართველოს ძველი რადიოგვარდიდან. გავიდა თითქმის ნახევარი საუკუნე ნიჟნი-ნოვგოროდში სახელგანთქმული რადიოლაბორატორიის დაარსებიდან, რომლის სულისჩამდგმელი და ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი მეცნიერი, ინჟინერი, გამომგონებელი და პედაგოგი მ. ბონჩ-ბრუევიჩი, მისმა არაჩვეულებრივმა ნიჭმა და შემოქმედებითმა ენთუზიაზმმა პრაქტიკულად ჩაუყარა საფუძველი საბჭოთა სამაუწყებლო რადიოტექნიკის და ბევრ სხვა დარგებს. არ შეიძლება დავივიწყოთ მისი დიდი ამაგი, ბრძოლა რჩევა-დარიგება საქართველოს რადიოსპეციალისტების უფროსი თაობისადმი სამამული რადიოტექნიკის გარიჟრაჟზე, რომლის შედეგად წარმოიშვა ჩვენში მძლავრი რადიომეურნეობა და მრავალი განსაცვიფრებელი რადიომიღწევანი.

დ. ხმიადაშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე.

ზემთხვევა

მზესუმზირას ჩენჩოს გროვაში

ოჩამჩირის ზეთსახდელ-ექსტრაქტების ქარხნის მახლობლად მზესუმზირას ჩენჩოს უზარმაზარი გროვა დგას, რომლის სიმაღლე ზშირად 6-7 მეტრია, ზოგჯერ სიგრძე — უფრო მეტი.

ერთ დღეს ბავშვებმა განიზრახეს თამაში გაემართათ ჩენჩოს გროვაზე. აფოფხდნენ ზევით და „გვირაბი“ ამოთხარეს. ორი ბავშვი „გვირაბში“ ჩაძვრა. ამ დროს ქარხნის საამქროდან ჩენჩოს მორიგი წყება წამოვიდა. ახლად დამოშავებული მზესუმზირას ჩენჩო პირველ ხანად ცხელია. ერთმა ბიჭმა შენიშნა საფრთხე და „გვირაბიდან“ ამოძრომა მოასწრო. მეორემ — ვერა. ცხელი ჩენჩო ბავშვს თავზე გადაეყარა და იგი ღრმად ჩამარხული აღმოჩნდა.

ეს შენიშნა გზად მიმავალმა ოჩამჩირის ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლმა ვ. გლაზუნოვმა. იგი იქვე შემოხვეთი მყოფ მუშა ი. დანიელოსთან და უ. შამუგიასთან ერთად გაეშურა შემთხვევის ადგილისაკენ. მოსაზრებული ადამიანები შეუდგნენ ხაშვილ სამუშაოებს. მათ მალე მონახეს ჩენჩოში ჩამარხული ბავშვი და ცოცხალმკვდარი ამოიყვანეს. ბავშვი მალე მოვიდა გონს. იგი აღმოჩნდა მოსწავლე ნოდარ დოჩია.

მ. ჯოჯუა.

ფიგნის თარო

ქართული ვედიცინის ისტორია

ძველი ქართული კულტურისა და ჩვენი სახელოვანი ისტორიის მოყვარულთა წიგნების თაროს შეტად მნიშვნელოვანი წიგნი შეემატა. საკავშირო სამედიცინო გამომცემლობა „მედიცინამ“ მოსკოვში გამოსცა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ მიხეილ შენგელიას ნაშრომი «История медицины Грузии». წიგნში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის განხილული ქართული მედიცინის ისტორიის ძირითადი ეტაპები და პერიოდები უძველესი დროიდან დღემდე.

წიგნი 6 ძირითადი თავისაგან შედგება: მედიცინა პირველყოფილ-თემურ წყობილების დროს, მედიცინა მონათმფლობელური ურთიერთობის დროს, მედიცინა ფეოდალურ საქართველოში, გარდამავალი ხანის მედიცინა, მედიცინა საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის დროს და მედიცინა სოციალისტურ საქართველოში. წიგნში სამედიცინო კულტურის განვითარება, ქართული სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების ძირითადი პრობლემები განხილულია ქვეყნის საზოგადოებრივი ფორმაციების განვითარების ფონზე, სოციალ-ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებასთან ურთიერთკავშირში. მოცემულია ცალკეული სამედიცინო-კულტურული ცენტრებისა და მოღვაწეების საქმიანობა, განხილულია ფეოდალური საქართველოს სამედიცინო საქმიანობის ძირითადი ფორმები და სისტემები, ძველი ქართული სამედიცინო ლიტერატურა, ზოგადი და კლინიკური მედიცინის ძირითადი საკითხები, მსოფლმხედველობის საკითხები ქართულ სამედიცინო-ბიოლოგიურ აზროვნებაში და სხვ. წიგნში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბჭოთა საქართველოს მედიცინის განვითარების ისტორიას. ნაჩვენებია ის უდიდესი მიღწევები, რომლებიც საბჭოთა საქართველოს სამედიცინო მეცნიერებისა და სახალხო ჯანმრთელობის დარგში აქვს.

უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული სიფაქიზე და ყურადღება, რაც გამოუჩენია წიგნის მოსკოველ გამომცემლებს. იგი არაჩვეულებრივი მხატვრული გამოვნებით არის გაფორმებული და ილუსტრირებული. სამწუხაროდ, წიგნი მეტად მცირე ტირაჟით (1.300 ც.) არის გამოცემული.

ომალე გაფაფხულის დადგება

იეები — გაზაფხულის პირველი მახარობლები უკვე გამოჩნდა თბილისის ქუჩებში. აბა როგორ არ გაეხარათ პირველი ფეებით თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებს გულიკო ბერიკაშვილს, მაკა მახარაძეს, დოდო ჩოგოვაძეს, როცა ამდენი მზე და სითბოა დედაქალაქში.

ფოტო ს. კილაძისა.

პირველი ყაიმი

ლოს-ანჯელოსში გრძელდება სამთა მატჩ-ტურნირი ჭადრაკში მსოფლიოს პირველობის მერეე პრეტენდენტის გამოსავლინებლად.

როგორც ვიუწყებოდით, პირველ ტურში სსრ კავშირის ჩემპიონის ლ. შტეინისა და ამერიკელი გროსმაისტერის ს. რეშევსკის პარტია გადადებული იყო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში და სპეციალისტებიც ყაიმს გვპირდებოდნენ. ასე მოხდა — მეტოქეები 56-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

მორიგ ტურში ლ. შტეინი შავებით თამაშობდა ჩეხოსლოვაკიელ გროსმაისტერ ვ. გორტთან. შუა თამაშში ვ. გორტმა პაიკი მოიგო, მაგრამ შემდეგ ციტნტრში შეცდომა დაუშვა და ვერ შეძლო უპირატესობის გამოყენება. პარტია გადაიდო, როგორც გროსმაისტერი ი. ავერბახი იუწყება ლ. შტეინს ყაიმის შანსები აქვს.

ს. ფლორი ფუგდიდში

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ორ დღეს იყო ზუგდიდში გროსმაისტერი სალო ფლორი. მან აქ ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 21 დაფაზე, აგრეთვე წაიკითხა საინტერესო ლექცია ჭადრაკის ისტორიიდან.

როგორც ს. ფლორმა განაცხადა, იგი საქართველოში ჩამოვიდა რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაციის მოწვევით და სხვადასხვა ქალაქებში ჩაატარებს ერთდროული თამაშის სეანსებს და წაიკითხავს ლექციებს ჭადრაკის თემაზე.

ქომეფხარს უქეთეგს ახალი ამგვეგის საკგენტო

„საოჯახო“ ავტომობილის ხუთწლედი

საბჭოთა გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა: ქალაქ გორკის საავტომობილო ქარხანა, რომელიც ასეთი ქარხნებიდან ყველაზე დიდი ჩვენს ქვეყანაში, 1968 წლის დამდეგიდან შეუდგა ავტომობილი „ვოლგის“ ახალი მოდელის (8-24) გამოშვებას. ამ მანქანას ელის ათასობით საბჭოთა მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი, რომლებსაც სურთ თავიანთი ოჯახისათვის შეიძინონ ავტომანქანა.

ინდივიდუალური სარგებლობის ავტომობილი — ეს ახლა პრობლემა როდია, თუმცა საბჭოთა კავშირში იგი ბევრად უფრო გვიან გამონნდა, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

მსუბუქ, ისიც ინდივიდუალური სარგებლობის, ავტომობილამდე იმ წლებში ხელი არ მიგვიწვდებოდა. იგი გამოჩნდა ომისშემდგომ წლებში და სულ ოციოდე წლის მანძილზე პოპულარობა მოიპოვა როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ბაზარზე. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1940 წელს, ომის წინ, საბჭოთა საავტომობილო ქარხნებმა გამოუშვეს მხოლოდ ხუთასხუთასი ათასი მსუბუქი ავტომობილი. 1960 წელს საბჭოთა ქარხნებში დამზადებული მსუბუქი ავტომობილების რაოდენობამ თითქმის 139 ათასს მიაღწია, 1965 წელს 200 ათასს გადაჰაჯარა, ხოლო გასულ 1967 წელს გამოშვებულია 251,4 ათასი მსუბუქი ავტომობილი.

ახლანდელ საავტომობილო ხუთწლედშიც ბევრი გეგმა განხორციელდება. ყველა წინა ხუთწლედისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ ამჟამად პირველად არის დასახული ოთხჯერ გადიდდეს მსუბუქი ავტომობილების წარმოება და მხოლოდ ერთიორად — საატვირთო ავტომანქანების გამოშვება. მსუბუქ ავტომობილებს, რა თქმა უნდა, კვლავ იყენებენ სახელმწიფო სამსახურში, მაგრამ ავტოქარხნების პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი მოსახლეობისათვის მისაყიდად არის განკუთვნილი.

საბჭოთა „საოჯახო“ ავტომობილს მოკლე ვადაში დიდი გზის გავლა მოუხდა. არსებითად, იგი შიშველ ადგილზე წარმოიშვა. არ გვქონდა არც გამოცდილება, არც საკონსტრუქტორო მონაცემები. ამჟამად აშენებულია ათობით საავტომობილო და საავტოგენატორ ქარხანა. ახალ ხარისხობრივ ზრდას მოწმობს ისიც, რომ მიმდინარე ხუთწლედში თვითეულმა ქარხანამ, რომელიც მსუბუქ ავტომობილებს უშვებს, დაგვვმა ახალი მოდელის მანქანა.

პირველი ახალი ნიმუში კონვეიერზე დაადგა მცირელიტრაჟიანი ავტომობილების მოსკოვის ქარხანამ. მისი „მოსკვიჩი-408“ დაიბადა ხუთწლედის პირველ წელს. „მოსკვიჩმა“ ცხოველი ინტერესი და კარგი გამოხმაურება ჰპოვა უცხოელ სპეციალისტებში. მას ეცნობოდნენ პრეზიდენტები და კონსტრუქტორები, ჟურნალისტები და ავტომოყვარულები.

როცა მოსკოვში აერედიტიტულ დიპლომატთა ჯგუფმა ინახულა მცირელიტრაჟიანი მანქანების ქარხანა, ერთ-ერთმა სტუმარმა, როცა მანქანის წარმოებას გაეცნო, თქვა:

— ვიცით, რომ „მოსკვიჩს“ ნაკლოვანებები აქვს, მაგრამ ისინი ისეა დამალული, რომ ვერასგზით ვერ აღმოვაჩენია.

არ ვიცი, იპოვნა თუ ვერა ამ სიტყვების მთქმელმა ნაკლოვანებანი მანქანაში. მხოლოდ ცნობილია, რომ „მოსკვიჩი“ მის ქვეყანაში იყიდება.

„ზაპოროჟეცი“ — პირველი საბჭოთა მიკროლიტრაჟიანი მანქანა — მოფიქრებული იყო როგორც მასობრივი, იაფი ავტომობილი, იგი უმთავრესად ამით ფასდება. მაგრამ ტექნიკურად იგი ჯერ არ იყო სრულყოფილი და მაინც კონვეიერზე რამდენიმე წელს გაძლო. ახლა კონვეიერზე მოვიდა „ზაპოროჟეცის“ ახალი მოდელი. კონსტრუქტორებმა მანქანაზე 30 ცხენის ძალის ძრავი დადგეს და ახლა მისი სიმძლავრის შემდგომ გადიდებაზე ფიქრობენ. ჩვენს დროში მიკროავტომობილების სიმძლავრეებიც კი იზრდება. მაგრამ კარგი იქნებოდა ეს გაკეთებულიყო ციალინდრების მოცულობის გაუდიდებლად. თორემ შეიძლება ისე მოხდეს, რომ „ზაპოროჟეცი“ გადავა მცირელიტრაჟიანი ავტომობილების კლასში და წინ დადგდება მანქანა, რომელსაც გამოუშვებს ქარხანა, ქალაქ ტოლიატიში რომ შენდება.

მაშინ ამ „წონითს კატეგორიაში“ აღმოჩნდება სამი მანქანა: „ზაპოროჟეცი“, ავტომობილი ქალაქ ტოლიატიდან და „მოსკვიჩი“. და კონსტრუქტორებს კვლავ მოუხდებათ მიკროავტომობილის შექმნა, რომელიც თუმცა ჯერ კიდევ ისე ახალგაზრდა, რომ ვერ აიცილებს ზრდის „ავადმყოფობებს“.

მაგრამ იქნებ ეს ფუჭი შიშია? „ზაპოროჟეცი“ ხომ რეალურად ჯერჯერობით მიკროლიტრაჟიანი რჩება. მცირელიტრაჟიან „მოსკვიჩს“ დაემატება მანქანა ქალაქ ტოლიატიდან.

საშუალო კლასის წარმომადგენელი კვლავ იქნება „ვოლგა“ — საოჯახო მანქანა თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ კონვეიერზე 13 წელზე მეტი გაძლო. ბევრი მძღოლი მას აძლევდა უპირატესობას. „ვოლგის“ ახალ მოდელს ყველაზე თანამედროვე ფორმები მიეცა და 25 ცხენის ძალით გაუდიდდა ძრავის სიმძლავრე.

ამრიგად, ხუთწლედის მანძილზე სსრ კავშირში არა მარტო ოთხჯერ გადიდდება მსუბუქი ავტომობილების წარმოება, არამედ ახალი მოდელების მანქანებიც გამოვა.

უკვე ახლა ცხადია, რომ ავტომობილების წარმოების საერთო ზრდა მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ინდივიდუალურ მყიდველთა მოთხოვნილებას.

დ. სასოროვი.

უნგრელი ექსპერტების აზრით

საბჭოთა და უნგრელი ფეხბურთელების შეხვედრა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ახლა საყოველთაო ინტერესს იწვევს. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ წამყვანი უნგრელი ექსპერტების აზრს ამ ორთაბრძოლის შესახებ.

ი. ბერეზეი (უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი): „ჩვენ ყველაზე ძნელი მეტოქე შეგვხვდა. წინასწარ გამარჯვებულის დასახელება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ჩემი აზრით, საჭირო გახდება მესამე, დამატებითი შეხვედრის გამართვა ნეიტრალურ მოედანზე“.

შ. ბარჩი (ევროპის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი): „ბრმა კენჭისყრამ მეტად სახიფათო ნაკრებთან შეგვაზვედრა, მაგრამ უნგრეთის ნაკრებს შეუძლია კარგად მოემზადოს მეტოქესთან საბრძოლველად. ჩვენი გუნდის საბრძოლო ფორმა ამჟამად საკმაოდ კარგია. ვფიქრობ, ნახევარფინალში გავლენ ინგლისელები, იუგოსლავები და იტალიელები. საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ნაკრებთა შეხვედრის შედეგზე კი წინასწარ ლაპარაკი შეუძლებელია“.

ჰ. შოოში (უნგრეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „მე ოტტო მისტურად ვარ განწყობილი. 1956 წელს, როდესაც უნგრეთის ნაკრებმა თავის პრაქტიკაში პირველად სძლია საბჭოთა ფეხბურთელებს და ისიც მოსკოვში, მწვრთნელთა კომისიაში გახლდით.

მე შემძლია ვთქვა, რომ იუგოსლავები დანამდვილებით მოუგებენ ფრანგებს. მეოთხედფინალის დანარჩენი შედეგების წინასწარი გამოცნობა შეუძლებელია.

სტუმრები დამარცხდნენ

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ატარებს, კიდევ ერთი მატჩი გამართა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. ამჯერად მისი მოწინააღმდეგე იყო საქართველოს ნაკრები, რომელიც დაკომპლექტეს თბილისის „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ მოთამაშეებით.

აი მეტოქეთა სასტარტო ხუთეული: სსრ კავშირის ნაკრები — პაულაუსკასი, საკანდელიძე, იურგენსონი, პოლიეოდა, ლიპსნი; საქართველოს ნაკრები — გლურჯიძე, ალთაბაევი, ხხიერელი, უგრეხელიძე, კოვალენკო.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, მეორე წუთისათვის ტაბლოზე ვხედავდით ციფრებს — 4:4. ამის შემდეგ ინიციატივას ქართველი კალათბურთელები ფლობდნენ და ტაიმიც მათ მოიგეს 38:28. მეორე ნახევარში სტუმრებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა — 61:61 (ეს მოხდა მე-16 წუთზე), მაგრამ შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდო საქართველოს ნაკრებმა და გაიმარჯვა — 69:64.

ჰ. კობახიძე.



ნაკრები მეხიკოში გაემგზავრა

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი მეხიკოში გაემგზავრა. აქ საბჭოთა ფეხბურთელები რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრას გამართავენ ადგილობრივ გუნდებთან, მათ შორის მექსიკის ნაკრებთან.

ნაკრებში 18 ფეხბურთელი შედის. ეი ისინი: მეკარეები — კუნინჩნიკოვი, კრამარენკო, რუდაკოვი; მცველები — აფონინი, შენტერნიოვი, კაპლიჩნი, ანიჩკინი, ისტომინი, ლევჩენკო; ნახევარმცველები — ხაბო, მედვიდი, ესკოვი; თავდამსხმელები — ჩისლენკო, სმოლნიკოვი, ბიშოვეცი, ნოდია, მალოფეევი, ასათიანი.

საბჭოთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელია ა. სტარუსტინი, ნაკრების მწვრთნელები — მ. იაკუშინი და ვ. ცარიოვი.

კანადაში

პირველ და ორ მარტს კანადის ქალაქ ტორონტოში გაიმართება მსოფლიოს — ამერიკის შეერთებული შტატების, ინდოეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების უძლიერეს მძლეოსანთა ამხანაგური შეჯიბრება. ასპარეზობა გადახურულ დარბაზებში მოეწყობა.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა დელეგაციას უმეთაურებს წარსულში საბჭოთა კავშირის უძლიერესი მძლეოსანი, საქართველოს სსრ სპორტულ ხაზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. სანაძე. (საქდესი).

ენქელას თასზე

ბაიმბერთა ენქელას თასის გათამაშების მორიგი მატჩები ფეხბურთში. ადლერში თამაშობდნენ დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბისა და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდები. გაიმარჯვეს დონის როსტოველებმა ანგარიშით 2:0.

ჭერბან-ტიუბეში ტაშკენტის ოლქის „პოლიტოტდელმა“ დაამარცხა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ 2:0.

ბათუმში ადგილობრივი „დინამოსა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდების შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1.

ოჩამჩირეში ლუგანსკის „ზარიას“ ბაკერობა ჰქონდა კიროვაბადის „დინამოსთან“. წარმატება ლუგანსკელებს ხვდათ 3:0.

სპორტული ქრონიკა

◆ სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ტურნეს შემდეგ საფრანგეთს „ეწვია. პირველი მატჩი საბჭოთა ხელბურთელებს ჰქონდათ პარიზში საფრანგეთის გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 19:18.

◆ იბალიის ქალაქ ვიარეჯოში გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. წარმატებით გამოდის მოსკოვის „ბურევესტნიკი“, რომელმაც მეოთხედფინალში დაამარცხა „რომა“ 5:2.

ვ. კვიტაიშვილი

ბარდაიცვალა ვიქტორ ვარდენის-ძე კვიტაიშვილი, პერსონალური პენსიონერი, ძველი ბოლშევიკი, სკკპ წევრი 1917 წლიდან. იგი დაიბადა 1895 წელს ლანჩხუთში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

1917 წელს სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს ვ. კვიტაიშვილი ბოლშევიკურ პროპაგანდას ეწეოდა და სამხედრო ტრიბუნალმა გასასამართლა. მაგრამ პატიმრობას მაღე დაადგა თავი და კვლავ ბოლშევიკი პროპაგანდისტის ძნელი გზა არჩია, გურიის გლეხკაცობის დუხჭირი ცხოვრების ჟამაგი და დამცველი გახდა.

1917 წელს ვ. კვიტაიშვილი იძულებით გაგზავნეს ჯარში თურქეთის ფრონტის მოწინავე პოზიციასზე. ოფიცრები მთავარობის არმიაში ყოფნისას იგი დაუკავშირდა ბოლშევიკ ამხანაგებს. მათ შექმნეს ეგრეთწოდებული „კომუნისტური ჯგუფი“, რომელშიც 45 კაცი შედიოდა. აქ მოუსწრო ვ. კვიტაიშვილს დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1921-23 წლებში ბათუმის პორტის მტვირთავი მუშა იყო.

1923 წელს ვ. კვიტაიშვილი სამხედრო სასწავლებელში გაიგზავნა. 1926 წელს სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კავკასიის წითელდროშოვან არმიაში ასეულის მეთაურად დანიშნეს. წლების განმავლობაში ვ. კვიტაიშვილი წითელი არმიის სხვადასხვა ნაწილების პოლიტმუშაკი იყო.

1939 წლიდან ვ. კვიტაიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ კათედრაზე მუშაობდა და ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა.

1939-დან 1957 წლამდე ვ. კვიტაიშვილი თბილისის ორჯონიკიძის რაიონის საერთო განყოფილების ხელმძღვანელობდა. 1957 წელს პენსიაზე გადავიდა.

ვიქტორ კვიტაიშვილი იყო სპეტაკი კომუნისტი, საკმისაოვის თავდადებული ადამიანი, მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მახლობლებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა იუწყება ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის

შალვა ნიკოლოზის-ძე აფხაიძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი ბინაზე (ი. გოგებაშვილის ქ. 43) — 21, 22 და 23 თებერვალს, ხალამოს 8 საათზე, 24 თებერვალს — მწერალთა სახლში (მაჩაბლის ქ. 13) — დღის 8 საათზე.

გამოსვენება 4 საათზე, დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

ჩუ ვიუსოთ, ჩუ ეოვისეირთ

ტელევიზია

21 თებერვალი

12.00 — ქართული მხატვრული ფილმი „ჯარისკაცის მამა“ (ეძღვნება საბჭოთა არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 50 წლისთავს), 17.05 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — — გადაცემა უფროსკლასელთათვის — „მამაცთა გზით“, 18.40 — განცხადებები, 18.45 — კონნარკვეი, 19.05 — გადაცემა — „სტანდარტული, ესე იგი საუკეთესო“, 19.25 — კონნარკვეი, 19.55 — გადაცემა „წიგნის პ